

ეპიზოდი სამართლებრივ სამართლი: წარმოშობა და განვითარება

როინ მიგრიაცია

სამართლის დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,
აღვოვატი (საქართველო)

როინ მიგრიაცია

პირის მიზანი

სტატიაში განხილულია ქართული სამენარმეო სამართლის წარმოშობის ისტორია და მისი 30-წლიანი განვითარების ეტაპები. ქართული სამენარმეო სამართლი, როგორც სამართლის დარგი, დამოუკიდებელ საქართველოში წარმოშვა 1991 წელს და მისი განვითრების ეტაპი დასრულდა 2021 წელს.

„სამენარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონის მიღებით 1991 წელს საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ახალ სამართლებრივ ტრადიციას, რომლითაც სამენარმეო სამართლი სამართლის დამოუკიდებელ დარგად მოგვევლინა.

სტატიაში აღნერილია სახელმწიფო საწარმოებიდან სხვა კერძო სამენარმეო საზოგადოებებზე გადასვლის თანამიმდევრობა და აუცილებლობა. 90-იანი წლების დასაწყისში ქართულ კერძო სამართალში უკვე ჩნდებიან სახელმწიფო საწარმოსაგან განსხვავებული სამართლებრივი ფორმის სამენარმეო სუბიექტები.

სტატიაში განხილულია „მენარმეთა შესახებ“ პირველი ევროპული ტიპის კანონის მიღების ისტორიული განვითარება და მისი აქტორები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოში თანამედროვე ევროპული სამენარმეო სამართლის შემოღებაში.

სტატიაში ერთმანეთთან ასევე შედარებულია ორი, ერთი და იმავე სახელწოდების – 1994 წლის და 2021 წლის „მენარმეთა შესახებ“ – კანონების პრინციპები, ურთიერთმიმართება იმპერატიულ და დისპოზიციურ ნორმებს შორის.

საკვანძო სითყვები: სამენარმეო საქმიანობა, სამენარმეოსამართლებრივი აქტი, იმპერატიული ნორმები, დისპოზიციური ნორმები, ნორმათა ბალანსი, წესდება

ENTREPRENEURIAL LAW OF GEORGIA: BIRTH AND DEVELOPMENT

Roin Migriauli

*PhD in Law, Professor at The Faculty of Law at
Caucasus International University, Attorney (Georgia)*

Abstract

The Article discusses the history of the origin of Georgian entrepreneurial law and the stages of its 30-year development. Georgian entrepreneurial law, as a field of law, originated in independent Georgia in 1991 and its development stage has ended in 2021.

The adoption of the Law "On Fundamentals of Entrepreneurial Activity" in 1991 laid the foundation for a new legal tradition in Georgia, which established entrepreneurial law as an independent branch of law.

The Article describes the sequence and necessity of transition from state enterprises to other private companies. At the beginning of the 90s, business entities with a different legal form from the state enterprises, already start to appear in Georgian private law.

The Article discusses the historical development of the adoption of the first European-style law „On Entrepreneurs“ and the actors, who made a significant contribution to the introduction of modern European entrepreneurial law in Georgia.

The Article also compares the principles of two laws of the same name – laws "On Entrepreneurs" of 1994 and 2021 – and the correlation between imperative and dispositive norms.

KEYWORDS: entrepreneurial activity, entrepreneurial legal act, imperative norms, dispositive norms, balance of norms, charter

შესავალი

2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიღო კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომელიც 2022წ. 01 იანვრიდან ამოქმედდა.¹ აღიშნული კანონის მიღებით გაგრძელდა ის სამართლებრივი ტრადიცია, რომელსაც დამოუკიდებელ საქართველოში საფუძველი ჯერ კიდევ წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ჩაეყარა. ქართული სამართლის ტრადიციად დამკვიდრდა ის, რომ სამეწარმეოსამართლებრივი აქტი ცალკე კანონად იქნა მიღებული, ხოლო სამეწარმეო სამართალი კი სამართლის ცალკე დარგად განვითარდა. თუმცა არსებობს მოსაზრებაც, რომ სამეწარმეო საქმიანობისა და მისი სუბიექტების ცალკე ნორმატიულ აქტში მოწესრიგების მცდელობა მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში საბჭოთა პერიოდის საქართველოშიც ჰქონდათ.²

დამოუკიდებელ საქართველოში ზემოაღნიშნულ ტრადიციას საფუძველი 1991 წლის 25 ივნისს ჩაეყარა, როდესაც მიღებული იქნა კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“. აღნიშნული კანონი გახდა სამეწარმეო-სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებული პირველი აქტი. კანონში

პირდაპირ იყო მითითებული მისი გავრცელების არეალი, რომელიც „მეწარმეობის ყველა სუბიექტს“³ მოიცავდა და იგი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სახელმწიფო საწარმოებით. ამდენად, 1991 წლის კანონმა დაასრულა საქართველოში „სახელმწიფო საწარმოების“ ჰეგემონია,⁴ რომლებიც წარმოადგენდნენ საბჭოთა ეკონომიკის გადმონაშთებს და საფუძველი ჩაუყარა მეწარმეობის განმახორციელებელი სხვა – კერძოსამართლებრივი – სუბიექტების წარმოშობას.

მართალია, XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირში სამართლებრივად მოწესრიგდა „კოოპერატივის“ სახით ერთადერთი კერძო საწარმოს სამართლებრივი ფორმა⁵ და კოოპერატივები გარდაქმნის პერიოდში სახელმწიფო საწარმოებთან ერთად თანაარსებობდნენ,⁶ მაგრამ კოოპერატივის სამართლებრივი ფორმით მოქმედ კერძო საწარმოებს უმნიშვნელო ადგილი ეკავათ ქვეყნის ეკონომიკაში და ისინი ვერ უწევდნენ კონკურენციას სახელმწიფო საწარმოებს, რომლებიც, სოფლის მეურნეობის გარდა, საქმიანობდნენ მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და სხვა მნიშვნელოვან ეკონომიკურ სფეროებში.

1 კანონი „მეწარმეთა შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=8>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].

2 შეადარე. ჭანტურია, ლ., 1996. კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. წიგნში: სერგო ჭორბენაძე – 70, საიუბილეო კრებული, 1996, გვ. 34.

3 პრეამბულა, აბზ. 2, კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ (1991). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5583697?publication=1>> [წვდომის თარიღი 1.05.2024]. (ძალადაკარგულია).

4 შეადარე. როინ მიგრიალი, 2023. „ვალაუვალობის ქართული სამართლი – გზა არა-შემძლეობიდან გაკოტრებამდე და გაკოტრებიდან გადახდისუუნარობამდე“, 1-ლი ნაზილი, ჩემი ადვოკატი, X. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.gba.ge/ka/უურნალი-ადვოკატი/ჩემი-ადვოკატი-ნომერი-X/ვალაუვალობის-ქართული-სამართლი.html>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].

5 საქართველოს სსრ-ში 1989 წელს მიღებული იქნა კანონი „კოოპერაციის შესახებ“, რომელიც გადმოღებული იქნა 1988 წლის სსრკ-ის ანალოგიური დასახელების კანონიდან.

6 მიგრიალი, რ., 2021. სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო. გვ. 29.

1991 წლის კანონის მიხედვით, კერძო სუბიექტებს შეეძლოთ შეერჩიათ სხვადასხვა სამართლებრივი ფორმა. კერძოდ, კანონმა მეწარმეობის მსურველ პირებს შესთავაზა სამეწარმეო საზოგადოების 10-ზე მეტი სამართლებრივი ფორმა.⁷ შედეგად, საქართველოში, კოოპერატივებისა და სახელმწიფო საწარმოების გარდა, გაჩნდნენ ისეთი კერძო სამეწარმეო სუბიექტები, როგორებიცაა: სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება, სრული და შერეული სამეურნეო ამხანაგობები, ერთი პირის საწარმო, ადგილობრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმოები.⁸

მიუხედავად იმისა, რომ 1991 წლის კანონი დამოკიდებელ საქართველოში პირველი სამეწარმეოსამართლებრივი აქტი იყო,⁹ რომელმაც ზოგადი სახით განამტკიცა სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, ზოგიერთი მეცნიერი მას, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, მაინც დაბალი დონის კანონად მიიჩნევდა, რადგანაც მას პრეტენზია ჰქონდა მთლიანად მოეწესრიგებინა სამეწარმეო საქმიანობა, კერძოდ, ერთ კანონში კონსტიტუციურსამართლებრივი, ადმინისტრაციულსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების თავმოყრით.¹⁰

შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ისეთი კანონის მიღების აუცილებლობა, რომელიც განთავისუფლდებოდა სხვა სამართლის (განსაკუთრებით, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის) მარწყებისაგან და მიმართული იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის, მისი მონაწილეებისა და სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი ფორმების მოწესრიგებაზე. ასე მომწიფდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიღების იდეა, რამაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სამეწარმეო სამართლის განვითარების მეორე ეტაპს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეწარმეო სამართლის განვითარების მეორე ეტაპი უშუალოდ უკავშირდება 90-იანი წლების დასაწყისში გერმანიის სახელმწიფოს გააქტიურებას, რომელმაც უკვე დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოს შესთავაზა კერძო სამართლის რეფორმის განხორციელება. კერძო სამართლის რეფორმა ხორციელდებოდა გერმანიის მთავრობასთან აქტიური სამართლებრივი თანამშრომლობის ფარგლებში, რომელიც 1991 წელს დაიწყო და რამდენიმე ათეული წელი გასტანა. სამართლებრივი თანამშრომლობის მხარეები იყვნენ გერმანიის მხრიდან – გერმანიის მთავრობის წარმომადგენელი ორგანიზაცია – შპს „გერმანიის ტექნიკური თანამშრომლო-

7 შეადარე. იქვე. გვ. 30.

8 მუხლი 11, კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ (1991). ხელმისაწვდომია. [ინტერნეტი] ხემისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5583697?publication=1>> [წვდომის თარიღი 1.05.2024]. (ძალადაკარგულია).

9 საბჭოთა კავშირის პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1925 წლიდან ისწავლებოდა „სავაჭრო სამართალი“ („სამეწარმეო სამართლის“ წინამორბედი), თუმცა ჩემთვის უცნობია, ეფუძნებოდა თუ არა აღნიშნული სალექციო კურსი შესაბამის ცალკე ნორმატიულ აქტს (მაგალ., „სავაჭრო კოდექსს“) თუ სხვა სამართალში (მაგალ., სამოქალაქო კოდექსში) ინტეგრირებულ ინსტიტუტს.

10 შეადარე. ქანტურია ლ., 1996. კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, წიგნში: სერგო ჯორბენაძე – 70. საიუბილეო კრებული, 1996. გვ. 33.

ბის საზოგადოება“ (GTZ GmbH),¹¹ ხოლო ქართული მხარე წარმოდგენილი იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროთი და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრით, რომელიც, თავის მხრივ, გახდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემმუშავებელი კომისიის ბირთვი.

გერმანიის სახელმწიფოს მხრიდან თანამშრომლობა გამოიხატებოდა არა მხოლოდ გერმანიის მთავრობის ფინანსურ ხელშეწყობაში, არამედ – ტექნიკური ხასიათის დახმარებაშიც (გერმანელი ექსპერტების მოვლინება საქართველოში, ქართველი მეცნიერებისათვის ტრენინგების ორგანიზება გერმანიაში, კანონპროექტების თარგმანების ორგანიზება, სამეცნიერო გამოცემები და ა.შ.). აღნიშნული ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად, 1992-1996 წლებში საქართველოში განხორციელდა კერძო სამართლის სრული რეფორმა და „მეწარმეთა შესახებ“ კანონის გარდა, მიღებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი კანონები, როგორებიცაა: „სამოქალაქო კოდექსი“, კანონი „ჩეკის შესახებ“, კანონი „თამასუქის შესახებ“ და კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“. ამით საქართველომ საბოლოოდ უარი თქვა რუსული (საბჭოური)

სამართლის რეცეფციაზე და მთლიანად გადაეწყო ევროპული, განსაკუთრებით, გერმანული სამართლის მოდელზე.¹²

მითითებულ პერიოდში მიღებული კანონებიდან, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომელიც 1994 წლის 28 ოქტომბერს, როგორც სამეწარმეოსამართლებრივი აქტი, ასევე ცალკე კანონის სახით იქნა მიღებული (ამოქმედდა 1995წ. 1-ელ მარტს).¹³

1994 წლის „მეწარმეთა შესახებ“ კანონი დაეფუძნა გერმანელი ადვოკატის, დოქტ. ჰარტმუტ ფრომის (Dr. Hartmut Fromm) მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს, სახელწოდებით „კომერციული მეწარმეების შესახებ“ (გერმ. Entwurf eines Gesetzes über die gewerblichen Unternehmer). 1993-1994 წლებში აღნიშნული კანონპროექტის განხილვები აქტიურად მიმდინარეობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო კათედრაზე და მასში აქტიურად იყვნენ ჩართულები უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ბატონები: სერგო ჯორბენაძე, ლადო ჭანტურია, ბესარიონ ზოიძე, ზურაბ ახვლედიანი და სხვები.¹⁴ გერმანელი ექსპერტები (დოქტ. როლფ კნიპერი და ჰარტმუტ ფრომი) ასევე ავითარებდნენ მოსაზრებას, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი შეესაბამებოდა კონტინენტურ-ევროპულ ტრადიციას, რომ კომერციული მეწარმეების მომწესრიგებელი სამართალი ერთიან

11 მოგვიანებით აღნიშნულმა გერმანულმა საზოგადოებამ შეიცვალა სახელი და ეწოდა შპს „საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება“ (GIZ).

12 მიგრიაული, რ., „2023.ვალაუვალობის ქართული სამართლი-გზაარაშემძლეობიდან გაკოტრებამდე და გაკოტრებიდან გადახდისუნარობამდე. მე-2 ნაწილი, ჩემი ადვოკატი, #XI. [ინტერნეტი]. ხელმისაწვდომია: <<https://www.gba.ge/ka/ჟურნალი-ადვოკატი/ჩემი-ადვოკატი-ნომერი-X/ვალაუვალობის-ქართული-სამართლი.html-1>> [წვდომის თარიღი 1.05.2024]. (ძალადაკარგულია).

13 კანონი „მეწარმეთა შესახებ“ (1994) [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=70>> [წვდომის თარიღი 1.05.2024]. (ძალადაკარგულია).

14 „მეწარმეთა შესახებ“ კანონპროექტის სათარგმნელად, დოქტ. ჰარტმუტ ფრომის ინიციატივით, 1993 წლის ზაფხულში, მის საადვოკატო ბიუროში „ფრომი და პარტნიორები“, რომელიც გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში მდებარეობდა, ბატონ ლადო ჭანტურიასთან ერთად, მეც ვიყავი მიწვეული.

საერთო კანონში ყოფილიყო აკინძული (in einem einheitlichen Gesetz zu bündeln).¹⁵

ქართველ სპეციალისტთა ნაწილი, თავდაპირველად, ემხრობოდა მოსაზრებას, რომ სამეწარმეო სამართლი სამოქალაქო სამართლის შემადგენელი ნაწილი ყოფილიყო და იგი სამოქალაქო სამართლის პროექტის ფარგლებში განეხილათ. გერმანული ექსპერტები (პროფესორი როლფ კნიპერი და ადვოკატი ჰარტმუტ ფრომი), პირიქით, მხარს უჭირდნენ მოსაზრებას, რომ, ნაცვლად სავაჭრო კოდექსისა, კომერციული იურიდიული პირების შესახებ ცალკე, ერთიანი კანონი შემუშავებულიყო.¹⁶ საბოლოოდ, გაზიარებული იქნა გერმანული ექსპერტების მოსაზრება და „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ცალკე იქნა მიღებული. აღნიშნული კანონის „თვითმყოფადობა“ იმითაც დასაბუთდა, რომ იმ პერიოდისათვის, გაცხადებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, „სამეწარმეო ურთიერთობანი გადაუდებელ მოწესრიგებას საჭიროებდა, ხოლო სამოქალაქო კოდექსის შემუშავება კი საკმაო დროს მოითხოვდა“.¹⁷ შედეგმაც არ დააყოვნა: „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიღებამ (1994 წელს) დაასწრო სამოქალაქო კოდექსის მიღებას (1997 წელს). პროფესორ სერგო ჯორბეგაძის შეფასებით, „გერმანელ კოლეგებთან ერთად

შემუშავებული ეს უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტი დასავლეთის არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობას არ იმეორებს, თუმცა კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის საერთო სივრცის ტენდენციას შეესაბამება“.¹⁸ მართალია, მას „გერმანულ კანონად“ მოიხსენიებდნენ, მაგრამ ქართველმა მეცნიერებმა ცალსახად დაგმეს აღნიშნული ტერმინი, გამომდინარე იქიდან, რომ არც გერმანიაში და არც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყანაში არ არსებობს სამეწარმეო საქმიანობისა და მისი მონაწილეების – სამეწარმეო სუბიექტების – მომწესრიგებელი ერთიანი აქტი. ამიტომ უწოდეს მას ქართველმა მეცნიერებმა (პროფესორებმა თედო ნინიძემ, ლადო ჭანტურიამ და სხვ.) გერმანელ მეცნიერებთან თანამშრომლობით შექმნილი „ქართული კანონი“, რომელშიც გამოყენებულია გერმანიისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ცოდნა-გამოცდილება და ემყარება კონტინენტური ევროპის სამართლებრივ ტრადიციას და მის ძირითად პრინციპებს.¹⁹

ქართველ მეცნიერებს შორის დიდი დისკუსია გაიმართა კანონის სახელწოდებასთან დაკავშირებითაც. გერმანელი ადვოკატის, დოქტ. ჰარტმუტ ფრომის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის დასახელება გერმანულად ასე ჟღერდა:

-
- 15 აღნიშნული მოსაზრება მითითებულ გერმანელ ექსპერტებს განვითარებული ჰქონდათ კანონპროექტის შესავალში, ი. გ. Dr. Rolf Knieper, Hartmut Fromm, Einführung zum Entwurf eines Gesetzes über die Unternehmen der Republik Georgien, Bremen und Frankfurt, August 1994, გვ. 1.
- 16 შეადარე. ჭანტურია, ლ., წინათქმა, წიგნში: ჭანტურია, ლ. და ნინიძე, თ., 1996. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები, 1-ლი გამოცემა, გვ. 5.; ასევე, ჭანტურია, ლ., 1996. კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, წიგნში: სერგო ჯორბეგაძე – 70, საიუბილეო კრებული. გვ. 33.
- 17 შეადარე. ზოიძე, ბ., 1995. ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში. თბილისი: გვ. 183.
- 18 ჯორბეგაძე, ს., „მეწარმეთა შესახებ“ კანონის სამენოვანი (ქართული, რუსული, გერმანული) გამოცემის წინათქმა. გვ. 5.
- 19 შეადარე. ჭანტურია ლ., წინათქმა, წიგნში: ჭანტურია, ლ. და ნინიძე, თ., 1996. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები. 1-ლი გამოცემა, გვ. 5. ასევე, ჭანტურია, ლ., კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. წიგნში: სერგო ჯორბეგაძე – 70, საიუბილეო კრებული. გვ. 34.

Entwurf eines Gesetzes über die gewerblichen Unternehmer (შემოკლებით GewUntG), რომელიც ქართულად პირდაპირ ასე ითარგმნებოდა: „კანონპროექტი კომერციული მეწარმეების შესახებ“. განხილვების დროს კანონპროექტის სახელწოდების რამდენიმე ვარიანტი იყო შემოთავაზებული: „სამეწარმეო საზოგადოებების შესახებ“, „საწარმოთა შესახებ“, „მეწარმეობის შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი პარლამენტს პირველი მოსმენისათვის წარედგინა სახელწოდებით „საწარმოთა შესახებ“ და ამ დასახელებით მიიღო კიდეც იგი პარლამენტმა. მიუხედავად ამისა, პარლამენტში კვლავ გაგრძელდა დებატები კანონპროექტის სახელწოდებასთან დაკავშირებით, ვიდრე 1994 წლის 28 ოქტომბერს პარლამენტმა საბოლოოდ არ მიიღო კანონი დღეს არსებული სახელწოდებით – „მეწარმეთა შესახებ“. კანონის სახელის შეცვლაში დიდი როლი ითამაშა 1994 წლის 15 ივლისს ქ. ბრემენში (გერმანია) გამართულმა საერთაშორისო იურიდიულ-სამეცნიერო კონფერენციამ, სადაც განიხილეს ასევე ტერმინ „საწარმოს“ სამართლებრივი შინაარსი, იმ თვალსაზრისით, წარმოადგენდა იგი სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს თუ სუბიექტს.²⁰ დღეს არსებული კანონის სახელწოდების სასარგებლოდ

მეტყველებდა ის ფაქტი, რომ გერმანელი ექსპერტის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი სწორედ მეწარმეების, ანუ კომერციულ საქმიანობაში ჩაბმული სუბიექტების მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს აწესრიგებდა.

აღსანიშნავია, რომ გერმანელი ექსპერტების მიერ შემოთავაზებული კანონი წარმოადგენდა ერთგვარ „საკანონმდებლო ჩარჩოს“, რომელიც ამოქმედებისა და პრაქტიკაში დანერგვის შემდეგ უნდა შევსებულიყო დამატებითი – პრაქტიკიდან გამომდინარე – წესებით. მოხდა კი პირიქით: 2008 და 2010 წლებში განხორციელებული ცვლილებებით ერთმანეთში აირია გერმანულ-ევროპული და ამერიკული მოდელები, რამაც კიდევ უფრო დიდი დაბნეულობა გამოიწვია კანონის მომხმარებლებში (ძირითადად საზოგადოების პარტნიორებში). კანონიდან ამოღებული იქნა არაერთი იმპერატიული წესი და, თითქოსდა, გამარტივების შედეგად, გარკვეული ურთიერთობების მოწესრიგება წესდებებს მიენდო. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, „მეწარმეთა შესახებ“ კანონმა ძირითადი გეზი ამერიკულისაკენ აიღო.²¹ იურიდიულ ლიტერატურაში დაიწყეს მსჯელობა „საწესდებო ავტონომიასა“²² და მის „გაფართოებასთან“ დაკავშირებით.²³ კანონის ასეთმა „გამარტივებამ“ კორპორატიული მმართველობის მნიშ-

- 20 ჭანტურია, ლ., 1996. კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. წიგნში: სერგო ჭორბენაძე – 70, საიუბილეო კრებული, გვ. 34-35.
- 21 შეადარე. ბურდული, ი., 2012. თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართლი (მოკლე მიმოხილვა), წიგნში: რომან შენგელია, 70, საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები. გვ. 227
- 22 იბ. ჭანტურია, ლ., 2010. საწესდებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში. კრებული: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი 1, 2010, გვ. 560-570. ასევე: ბურდული, ი., 2012. თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართალი (მოკლე მიმოხილვა), წიგნში: რომან შენგელია, 70, საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, გვ. 224.
- 23 შეადარე. ლაზარაშვილი, ლ., 2013. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და ქართული საკორპორაციო სამართლის თანამედროვე საკანონმდებლო მოწესრიგების პრობლემები. წიგნში: ბესარიონ ზოიძე, 60, საიუბილეო კრებული, 2013, მე-2 სქოლით, გვ. 528.

ვნელოვანი საკითხებიც მოწესრიგების მიღმა დატოვა.²⁴ ამდენად, 2008 და 2010 წლებში განხორციელებული ცვლილებები ქართველმა მეცნიერებმა ნეგატიურად შეაფასეს, როგორც გაუგებარი, უსისტემო, ზედმეტად ლიბერალური და საერთო კორპორაციულ-სამართლებრივი კონტექსტიდან ამოვარდნილი.²⁵

გამომდინარე იქიდან, რომ 1994 წლის „მეწარმეთა შესახებ“ კანონში იმპერატიული ნორმები შემცირდა და მან ადგილი თანდათან დისპოციზიურ ნორმებს დაუთმო, ამან გამოიწვია ბალანსის დარღვევა იმპერატიულ და დისპოზიციურ ნორმებს შორის. ამან კი სამეწარმეო და სასამართლო პრაქტიკაში სერიოზული პრობლემები წარმოშვა.

დღის წესრიგში დადგა შემდეგი საკითხი: ან არსებული კანონი სრულად უნდა განახლებულიყო, ანდა მიღებულიყო სრულიად ახალი კანონი. აღნიშნულზე ზრუნვა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ითავა. შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი ქართველი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით. ახალ კანონზე მუშაობა მიმდინარეობდა მრავალი წლის განმავლობაში, თუმცა მისი შედარებით დაჩქარებული ტემპით შემუშავება ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის მოთხოვნებიდანაც გამომდინარეობდა.²⁶

2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი, იმავე

სახელწოდებით – „მეწარმეთა შესახებ“. ახალი კანონი 2022 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა. შეიქმნა სიტუაცია, როდესაც დაახლ. 30 წლიანი ინტერვალით საქართველოში მიღებული იქნა ერთი და იმავე დასახელების კანონი. ახალი კანონის შეფარდებისას გასათვალისწინებელია, რომ მათი მომხმარებლების მიერ – იქნიან ესენი მოსამართლეები, ადვოკატები, მეცნიერები თუ სხვები – ზუსტად მოხდეს მათი იდენტიფიცირება, რათა იგი არ იქნას გაიგივებული 1994 წლის კანონთან.

ერთი და იმავე დასახელების კანონების იდენტიფიცირების საუკეთესო საშუალებაა მიღების თარიღი. ამისათვის საკამარისია მიღების წლის მითითება. ამიტომ 2021წ. 2 აგვისტოს მიღებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონი მოხსენიებული უნდა იქნას, როგორც „2021 წლის კანონი“, ხოლო 1994წ. 28 ოქტომბერს მიღებული კანონი – როგორც „1994 წლის კანონი“.

1994 წლის კანონისაგან განსხვავებით 2021 წლის „მეწარმეთა შესახებ“ კანონი თითქმის 4-ჯერ მეტი მუხლისაგან (255 მუხლი) შედგება და მასში სამეწარმეო-სამართლებრივი ურთიერთობები უფრო დეტალურადაა ჩაშლილი. შესაბამისად, 2021 წლის კანონი უფრო დეტალურია, იგი შესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს.

2021 წლის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის დეტალური ჩაშლით, კანონმდებლის მიზანი იყო ის, რომ თუკი ცალკეული საკითხები წესდებით არ

- 24 შეადარე. განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. გვ. 1. [ინტერნეტი] ხემისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/268673>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].
- 25 შეადარე. ლაზარაშვილი, ლ., 2013. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და ქართული საკორპორაციო სამართლის თანამედროვე საკანონმდებლო მოწესრიგების პრობლემები. წიგნში: ბესარიონ ზოიძე, 60, საიუბილეო კრებული. გვ. 522.
- 26 გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება, კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მოკლე მიმოხილვა. გვ. 1. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://dwv.ge/wp-content/uploads/2022/02/Geo-Brief-Review-of-Law-of-Enterprenuars.pdf>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].

იქნებოდა მოწესრიგებული, ასეთ შემთხვევაში კანონში იარსებებდა შესაბამისი კონკრეტული ნორმები, რომლებიც თავად მოაწესრიგებდნენ ღიად დარჩენილ და სადავოდ ქცეულ სამეწარმეო-სამართლებრივ ურთიერთობებს. შესაბამისად, კვლავ აღდგებოდა ბალანსი იმპერატიულ და დისპოზიციურ ნორმებს შორის. ამით კი თავიდან იქნებოდა აცილებული ის საკანონმდებლო ვაკუუმი, რომელიც ხელს უშლიდა, ერთი მხრივ, სამეწარმეოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებს, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოს – სადავო საკითხების სათანადოდ განხილვასა და გადაწყვეტაში.²⁷ აღნიშნული ვაკუუმის შევსების გარკვეული ტვირთი სწორედ სასამართლოებმა იყისრეს და შემოგვთავაზეს საკუთარი საინტერესო ხედვები პრაქტიკაში წარმოშობილი სადავო საკითხების გადასაწყვეტად.²⁸ თუმცა ხშირად გვხვდებოდა სასამართლო გადაწყვეტილებების კრიტიკაც, როდესაც მოსამართლეებს „კანონსგაცდენილ შემოქმედებას“ უწუნებდნენ.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის კანონში გათვალისწინებულია ასოცირების შეთანხმების XXVIII დანართში („საკონპორაციო სამართლის“) მითითებული ევროდირექტივების²⁹ პოზიციები. კანონი ეფუძნება ევროდირექტივების შესაბამის იმპერატიულ და დისპოზიციურ ნორმებს,

რაც აშკარად დააახლოვებს ქართულ სამეწარმეო სამართალს ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

შეიძლება ითქვას, რომ ის მიზანი, რომელიც ჰქონდა 1994 წლის „ჩარჩო კანონს“, მიმართული სრულყოფილებისა და პრაქტიკით გამდიდრებისაკენ, აღსრულდა სწორედ 2021 წლის კანონით. „მეწარმეთა შესახებ“ 2021 წლის კანონმა შემოგვთავაზა კანონით დაწესებული იმპერატიული რეგულაციებისა და პარტნიორთა შეთანხმებებსა და წესდებებში გასათვალისწინებელი წესების ერთგვარი ნაზავი. აღნიშნული კანონის მიღებით, ერთი მხრივ, გაიზარდა სამეწარმეო ურთიერთობებში კანონის როლი და დანიშნულება და, მეორე მხრივ, გამყარდა საწესდებო ავტონომიის პრინციპი.

მართალია, ახალი კანონით ბევრი საკითხის მოწესრიგება ისევ წესდებას მიენდო, მაგრამ კოლიზიის შემთხვევაში კანონმდებელმა მისი ძალიან საინტერესო გადაწყვეტა შემოგვთავაზა: თუ წესდებით არ არის კონკრეტული საკითხი მოწესრიგებული, მაშინ საკითხის გადაწყვეტა ხდება კანონის საფუძველზე, იმპერატიულად დადგენილი ნორმების მიხედვით; ანდა, თუ წესდება გადაუხვევს კანონით დადგენილ ნორმებს, რომლის შინაარსიცა და მიზანიც აშკარად იმპერატიულია, მაშინ იმოქმედებს სწორედ ეს იმპერატიული ნორმები.³⁰ ხოლო სააქციო საზოგა-

- 27 შეადარე. განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. გვ. 3. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/268673>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].
- 28 ამ მხრივ საინტერესოა, მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება პარტნიორის კაპიტალშემცვლელ სესხთან დაკავშირებით, როდესაც სასამართლოს მიერ პარტნიორის მიერ გაცემული სესხი შენატანად იქნა აღიარებული, რითაც პარტნიორს მოუსპო მოთხოვნის უფლება საზოგადოებაზე გაცემული სესხის დაბრუნებაზე.
- 29 კონკრეტული დირექტივების ჩამონათვალი იხ. განმარტებით ბარათში „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. გვ. 4. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/268673>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].
- 30 შეადარე. მუხლი 2 (2,3), „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“ [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=8#DOCUMENT:1>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].

დოკუმენტის შემთხვევაში, კანონი ცალსახად ადგენს, რომ წესდებითა და პარტნიორთა შეთანხმებით განსხვავებული წესები მხოლოდ კანონით დაშვებულ შემთხვევებსა და ფარგლებში შეიძლება განისაზღვროს.³¹ ასეთი მიდგომა კი საშუალებას მისცემს სასამართლოებს, სადაც სამეწარმეოსამართლებრივი საკითხები გადაწყვიტონ ჯერ წესდებაზე დაყრდნობით, ხოლო წესდებით მოუწესრიგებლობის შემთხვევაში – კანონის შესაბამისი ნორმების გამოყენებით. აღნიშნული კი, საბოლოოდ, ხარისხიანი და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღების წინაპირობა გახდება.

31 იქვე. მუხლი 1(4).

დასკვნა

დასკვნის სახით, დღეს უკვე შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, რომ 2021 წლის „მეწარმეთა შესახებ“ კანონი თანამედროვე სამეწარმეო ურთიერთობებზე მორგებული კანონია, რომლითაც უფრო დეტალურად არის მოწესრიგებული შიდა კორპორატიული ურთიერთობები. აღნიშნული კანონი ძალიან ბევრ სიახლეს გვთავაზობს, რომლებიც მომავალში აუცილებლად გახდება მეცნიერთა მსჯელობის საგანი.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბურდული, ი., 2012. თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართლი (მოკლე მიმოხილვა). წიგნში: რომან შენგელია, 70, საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები.
2. ზოიძე, ბ., 2005. ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში. თბილისი.
3. ლაზარაშვილი, ლ., 2013. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და ქართული საკორპორაციო სამართლის თანამედროვე საკანონმდებლო მოწესრიგების პრობლემები. წიგნში: ბესარიონ ზოიძე, 60, საიუბილეო კრებული.
4. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის სამენვანი (ქართული, რუსული, გერმანული) გამოცემა, სერგო ჯორბენაძის წინათქმა, 1995.
5. მიგრიაული, რ., 2023. ვალაუვალობის ქართული სამართლი – გზა არაშემძლეობიდან გაკოტრებამდე და გაკოტრებიდან გადახდისუნარობამდე.“ მე-2 ნაწილი. ჩემი ადვოკატი, XI. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.gba.ge/ka/კურნალი-ადვოკატი/ჩემი-ადვოკატი-ნომერი-X/ვალაუვალობის-ქართული-სამართლი.html-1>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].

[ადვოკატი/ჩემი-ადვოკატი-ნომერი-X/ვალაუვალობის-ქართული-სამართლი.html-1](https://www.gba.ge/ka/კურნალი-ადვოკატი/ჩემი-ადვოკატი-ნომერი-X/ვალაუვალობის-ქართული-სამართლი.html-1) [წვდომის თარიღი 1.05.2024].

6. მიგრიაული, რ., 2023. ვალაუვალობის ქართული სამართლი – გზა არაშემძლეობიდან გაკოტრებამდე და გაკოტრებიდან გადახდისუნარობამდე.“ მე-2 ნაწილი. ჩემი ადვოკატი, XI. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.gba.ge/ka/კურნალი-ადვოკატი/ჩემი-ადვოკატი-ნომერი-X/ვალაუვალობის-ქართული-სამართლი.html-1>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].
7. მიგრიაული, რ., 2021. სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო.
8. ჭანტურია, ლ. და ნინიძე, თ., 1996. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები. 1-ლი გამოცემა.
9. ჭანტურია, ლ., 1996. კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. წიგნში: ჯორბენაძე სერგო, 70, საიუბილეო კრებული, 1996.
10. ჭანტურია, ლ., 2010. საწესდებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში. კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნაკვევები. წიგნი 1.

ინტერნეტ რესურსები:

1. განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/268673>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].
2. გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება, კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მოკლე მიმოხილვა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://dwv.ge/wp-content/uploads/2022/02/Geo-Brief-Review-of-Law-of-Enterpreneurs.pdf>> [წვდომის თარიღი 1.05.2024].

ნორმატიული აქტები:

1. კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ.“ 1991. [ინტერნეტი] ხე-

ლმისაწვდომია:<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5583697?publication=1>> [წვდომის თარიღი 1.05.2024]. (ძალადაკარგულია).

2. კანონი „მეწარმეთა შესახებ.“ 1994. ძალადაკარგულია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=70>> [წვდომის თარიღი 1.05.2024]. (ძალადაკარგულია).
3. კანონი „მეწარმეთა შესახებ.“ 2021. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=8>> [წვდომის თარიღი 1.05.2024]. სსრკ კანონი „სსრ კავშირში კომპერაციის შესახებ“ (1988). გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1989.

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Burduli, I., 2012. Modern Georgian corporate law (brief review). In the book: Roman Shengelia, 70, jubilee collection, Issues of Law. (in Georgian)
2. Chanturia, L., 1996. The Law on Entrepreneurs and the Origin of Corporate Law in Georgia. In the book: Jorbenadze Sergo, 70th anniversary collection, 1996. (in Georgian)
3. Chanturia, L. and Ninidze, T., 1996. Commentaries on the Law on Entrepreneurs. 1st edition. (in Georgian)
4. Chanturia, L., 2010. Statutory Autonomy in Corporate Law. In the collection: Essays on the History of Law and Political Thought, Book 1. (in Georgian)
5. Lazarashvili, L., 2013. Law of Georgia "On Entrepreneurs" and the Problems of Modern Legislative Regulation of Georgian Corporate Law. In the book: Besarion Zoidze, 60, anniversary collection. (in Georgian)
6. Migriauli, R., 2023. Georgian Insolvency Law – the Path from Insolvency to Bankruptcy and from Bankruptcy to Insolvency. Part 1, Chemi advokati X. [Online] available: <<https://www.gba.ge/ka/კურნალი-ადვოკატი/ჩემი-ადვოკატი-ნომერი-X/ვალაუზალობის-ქართული-სამართლი.html-1>> [access date 1.05.2024]. (in Georgian)

[ადვოკატი-ნომერი-X/ვალაუზალობის-ქართული-სამართლი.html-1](https://www.gba.ge/ka/კურნალი-ადვოკატი/ჩემი-ადვოკატი-ნომერი-X/ვალაუზალობის-ქართული-სამართლი.html-1)> [access Date 1.05.2024]. (in Georgian)

7. Migriauli, R., 2023. Georgian Insolvency Law – the Path from Insolvency to Bankruptcy and from Bankruptcy to Insolvency", part 2. Chemi Advokati, XI. [Online] available at: <<https://www.gba.ge/ka/კურნალი-ადვოკატი/ჩემი-ადვოკატი-ნომერი-X/ვალაუზალობის-ქართული-სამართლი.html-1>> [access date 1.05.2024]. (in Georgian)
8. Migriauli, R., 2021. Brief Guide to Entrepreneurial Law. (in Georgian)
9. Trilingual (Georgian, Russian, German) edition of the Law "On Entrepreneurs". foreword by Sergo Jorbenadze, 1995. (in Georgian)
10. Zoidze, B., 2005. Reception of European Private Law in Georgia. Tbilisi. (in Georgian)

Internet Resources:

1. Explanatory note on the draft law of Georgia "On Entrepreneurs". [Online] Available at: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/268673>> [access date 1.05.2024]. (in Georgian)
2. German Economic Union, Law "On Entrepreneurs", a Brief Overview. [Online] Available at: <<https://dwv.ge/wp-content/uploads/2022/02/Geo-Brief-Review-of-Law-of-Enterpreneurs.pdf>> [access date 1.05.2024]. (in Georgian)

[of-Enterpreneurs.pdf](#) [access date 1.05.2024].
(in Georgian)

Normative Materials:

1. Law "On the Basics of Entrepreneurial Activity." 1991. [Online] available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5583697?publication=1>> [Accessed 1.05.2024]. (in Georgian)
2. Law "On Entrepreneurs" 1994. Invalid. [Online] available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=70>> [Accessed 1.05.2024]. (in Georgian)
3. Law "On Entrepreneurs" 2021. [Online] available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=8>> [Accessed 1.05.2024]. (invalid.). (in Georgian)
4. Law of the USSR "On Cooperation in the Union of the USSR" (1988). publishing house "Soviet Georgia", Tbilisi 1989. (in Georgian)